განკარგულება:**გ-17. 1724173001**
თარიღი:**21/06/2024**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს - ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ახალდაბაში და სოფელ ყვიბისში განთავსებული 400 (ოთხასი) ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების (მიმაგრების) მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით (იჯარა) 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს შპს „მაგთიკომს“.
2. წლიური საიჯარო ქირა 1 (ერთ) ერთეულ გარე განათების ბოძზე განისაზღვროს 2 (ორი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა №60ᵃ).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>დანართი N1</u>

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების (400 ერთეული) ნაწილი/წერტილი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების (მიმაგრების) მიზნით პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის (იჯარა) ფორმით გაცემის შესახებ

ქონების დასახელება	მისამართი	რაოდენობა (ერთეული/ცალი)	1 (ერთი) ერთეული ბოძის ღირებულება (ლარში)	ქირის წლიური საფასური (ლარში)	სარგებლობაში გადაცემის ვადა	განკარგვის ფორმა
გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების (მიმაგრების) მიზნით	დაბა ახალდაბა და სოფელი ყვიბისი	400	2.00	800.00	5 წელი	პირდაპირი განკარგვის წესით

<u>**პირობა:**</u>

- ,,მოიჯარე“ საიჯარო ქირას იხდის ყოველწლიურად, კალენდარული წლის დამთავრებამდე არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე. იმავდროულად ,,მოიჯარეს“ აქვს ქირის ავანსად გადახდის უფლება;
- „მოიჯარე“ ვალდებულია მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე სხვა აუცილებელი გარემოებებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების (გარე განათების კონსტრუქციების) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისგან გათავისუფლება;